ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№3-1ც/01117043150ЦЦ-17

"29" 03 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, ალეკო გობრონიძის ქუჩა №11-ში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის II ეტაპს, „ბ“ ბლოკე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3485509 23.08.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი–გლდანი, ალეკო გობრონიძის ქუჩა №11-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

კოლონების ნაწილს მონაცვლებული აქვს ადგილი. ასევე ნაწილობრივ შეცვლილია რიგელების კვეთი. პროექტში მონოლითური კედლები არ არის სრულად აღნიშნული. “გ”, “გ” და “ე” ღერძებზე საპრეექტო მონოლითური კედლების სიგანე გაზრდილია.

ფასადებზე +1.05 ნიშნულის ქვევით გაუქმებულია ბაზალტით მოპირკეთება. დამატებულია გამათბობლის ქვაბები, კონდიციონერები, სატელიტური ანტენები და გამწოვი მილები, ხოლო პროექტით გათვალისწინებული გამათბობლის ქვაბების ადგილმდებარეობა ნაწილობრივ შეცვლილია. აივნების ნაწილზე დამატებულია კაპიტალური ტიხრები.

ტერიტორიიდან გასატანია სამშენებლო ნარჩენები.

-2.70 ნიშნული: შეცვლილია კიბის ფორმა. “თ” ღერძის გარეთ კედლის ნაწილი გაუქმებულია. “8” ღერძზე მდებარე კედელზე გაუქმებულია ღიობები. “ა-ბ” მონაკვეთში გაზრდილია კარის გაბარიტი, სამანქანო პანდუსის სიგანე, ასევე გაზრდილია მისი დახრა და შეადგენს 7%, ხოლო სიგრძე შემცირებულია.

+1.05 ნიშნული: “5” ღერძის გარეთ შეცვლილია ტერიტორიის ზედაპირის ნიშნული, სადაც განთავსებულია “ა ბლოკისთვის განკუთვნილი ავტომანქანების” სადგომი. “ზ” ღერძზე მდებარე გარე-კიბის საფეხურების რაოდენობა შემცირებულია.

“თ-ა” ფასადი: +4.11 ნიშნულის ქვევით ვიტრაჟებზე დამატებულია მილკვადრატის ცხაური და ჟალუზი, ხოლო მათ მიმდებარედ კედლები ნაწილობრივ შესალესი და შესაღებია. ამავე მონაკვეთში +50.31 ნიშნულზე ვიტრაჟებზე დამატებულია მილკვადრატის მოაჯირები. “ზ-ე” მონაკვეთში მდებარე ბაქანზე დასასრულებელია მოაჯირის მოწყობა, ხოლო “ბ-ა” მონაკვეთში სამანქანო პანდუსზე მოწყობილი ლითონის მოაჯირები შესაღებია. “ა” ღერძის გარეთ +17.55 ნიშნულზე ვიტრაჟი შესამინია.

“ა-თ” ფასადი: “ა-ბ” მონაკვეთში +4.35 ნიშნულზე დამატებულია საჩრდილობელი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველ

პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბალავარი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, ალეკო გობრონიძის ქუჩა №11-ში (საკ. კოდი №01.11.17.003.206) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის II ეტაპს, „ბ" ბლოკე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01180431504-17 12.02.2018წ. განცხადება.
№წ-19/01180431504-17 13.02.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე